ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №3

დაბა ქედა 03 ნოემბერი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
გენადი არძენაძე - კომისიის წევრი;
ბაქარ ბარამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

03.11.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ბაქარ ბარამიძე	კომისიის წევრი	
4	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
5	გენადი არძენაძე	კომისიის წევრი	
6	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ოქტომბრის №39 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2020 წლის 02 ნოემბრის დღის 18 საათამდე.

დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის 21 ოქტომბერს საკრებულოს აპარატში შემოვიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №GOV 9 20 00044436 საკონსულტაციო დასკვანა (შემოსული დოკუმენტი №98/04), რომელის მიხედვითაც „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტი საჭიროებს არსებითად გადამუშავებას, კერძოდ:

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ტექსტი შინაარსობრივი კუთხით არის ჩასასწორებელი. ამასთან, №4 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მოქმედი რედაქციის მე-5 და მე-6 მუხლებით თანახმად, საწარმოს, ორგანიზაციის ან/და ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთები გამოიანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის საბაზისო განაკვეთის (0.24 ლარი) გამრავლებით ტერიტორიულ კოეფიციენტზე და განისაზღვრება წელიწადში 1$მ^2$-ზე გაანგარიშებით, ლარებში. ხოლო ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტერიტორიული კოეფიციენტი განისაზღვრება 1-თ. საყურადღებოა, რომ დღეისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრისას ლოკალური ტერიტორიული ინდექსი გამოითვლება „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად. ამ აქტის საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის №12 დადგენილებით „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლოკალურ ტერიტორიულ ინდექსად მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიისთვის აქვს განსაზღვრული 1. შესაბამისად, გაუგებარია, განსახილველი პროექტით რის საფუძველზე განისაზღვრა ტერიტორიულ კოეფიციენტად 0.01.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის ამირან ცინცაძის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ზოგიერთი დარგის მიხედვით ქონების გადასახადის შემცირებას, რადგანაც აღნიშნული ტიპის ობიექტები მიმდინარე წლის პანდემიის ფონზე პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა, შესაბამისად მათზე საგადასახადო ტვირთის მოხსნა იქნება მნიშვნელოვანი შეღავათი.

საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის საკონსულტაციო დასკვნის მიღების შემდეგ დამატებით კონსულტაციები გაიმართა დასკვნის ავტორთან, სადაც დაზუსტებულ იქნა, რომ ტერიტორიული კოეფიციენტი, რომლეიც საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად უნდა იყოს 1, არ წარმოადგენს ქონების გადასახადის გამოანგარიშების საფუძველს და გამოიყენება მიწის ნორმატიული ფასის დადგენისას, ასევე საგადასახადო კოდექსის თანახმად ქონების გადასახადის გამოანგარიშებისას ტერიტორიულ კოეფიციენტს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან სხვა სამართლებრივი შენიშვნები არ შემოსულა მიზანშეწონილია საკითხი დასამტკიცებლად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: ბეზო თურმანიძე